სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

16304255173112

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120090845

რეგისტრაციის თარიღი

01.02.2012 წ

ნოტარიუსი: ლალი კანდელაკი

მისამართი: ქ.თბილისი,გამსახურდიას (პეკინის) 36,1 სართული.

ტელეფონი: ოფისი - 2 38 04 71; 2 38 04 81; მობილური - 599 11 19 01

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თორმეტი წლის პრველ თებერვალს მე, ნოტარიუს ლალი კანდელაკს ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე **ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი (პეკინის ქუჩა) №36,** მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **მერაბ დავითინიძემ როგორც შპს "ჯ.დ.კ."-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა – დირექტორმა, (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის ნომერი 362121 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B11133502, ამონაწერის მომზადების თარიღი: 15/09/2011);** რომელმაც განაცხადა, რომ სურს რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ***მონიკა რუხაძეს***.

მე შევამოწმე მარწმუნებლის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად: **მერაბ დავითინიძეს** (დაბადებული **01.09.1970წ. გარდაბანში, რეგ. თბილისი მე-2 ნავთლუღის დას. ქ. 5 სახლი 83;** პირადი **№01027006928;** სურს რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რწმუნებულების შინაარსი, რის შემდეგაც შევადგინე რწმუნებულების პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ, რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათას თორმეტი წლის პრველ თებერვალს, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად: **მერაბ დავითინიძემ** (დაბადებული **01.09.1970წ. გარდაბანში, რეგ. თბილისი მე-2 ნავთლუღის დას. ქ. 5 სახლი 83;** პირადი **№01027006928; როგორც შპს "ჯ.დ.კ."-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა – დირექტორმა, (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის ნომერი 362121 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B11133502, ამონაწერის მომზადების თარიღი: 15/09/2011);** რომელიც ამ რწმუნებულებაში მოხსენიებულია, როგორც "მარწმუნებელი", ***მონიკა რუხაძეს*** **(დაბადებული 09.09.1974 წელს ფოთში, პირადი №42001021045 მცხ. თბილისი,** თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 9ა ბ. 27)

რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც "რწმუნებული" წინამდებარე რწმუნებულებით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არა ქონებრივ ინტერესებს, რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოში, არბიტრაჟში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებში, სამოქალაქო რეესტრში, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურში, ასევე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან/და სისხლის სამართლის საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება, საჩივარი და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და/ან გამოიტანოს, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის

დგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას ჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი ან/და საფუძველი, გამოიხმოს სარჩელი, გაადიდოს ან ამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავრის საქმე მორიგებით, მიიღოს ასრულებო ფურცელი, მათ შორის ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი.

3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

4. რწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

5. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.

6. რწმუნებული ვალდებულია დავალება შეასრულოს პირადად. იგი უფლებამოსილია დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები.

7. რწმუნებულება გაცემულია სრული უფლებამოსილებით, **განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.**

8. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

9. წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლალი კანდელაკის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

10. წინამდებარე რწმუნებულება მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ლალი კანდელაკმა მარწმუნებელმა მოიწონა რწმუნებულება და ნოტარიუსის თანდასწრებით მას პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია საზღაური, თანახმად: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011წ. №507) 10 (ათი) ლარი და ამავე დადგენილების 39–ე მუხლის პირველი პუნქტისა +2 (ორი) ლარი ელექტორნულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, სულ 12 (თორმეტი) ლარი.

მარწმუნებლის ხელისმოწერა _____

ნოტარიუსი: _____ ლალი კანდელაკი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N121103135
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.10.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი კანდელაკი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი,გამსახურდიას (პეკინის) 36,1 სართული.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	ოფისი - 2380471; 2380481; მობილური - 599111901
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06757858444812

რწმუნებულების დამოწმ 01.02.2012წ.რ/#120090845,ასლის სისწორე დედანთან
სანოტარო საზღაური 2.0 ლარი
ნოტარიუსი ლალი კანდელაკი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18